საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბეროშვილი ვლადიმერ ლევანის ძე

ბეროშვილი ვლადიმერ ლევანის ძე (1907, სოფ. კარდანახი, ახლანდ. გურჯაანის მუნიციპალიტეტი, – 1944), საბჭოთა კავშირის გმირი (16. X. 1943).

დაამთავრა უმცროს მეთაურთა სკოლა (1940). II მსოფლიო ომში მეთაურობდა მეტყვიამფრქვევეთა ოცეულს, შემდეგ – ასეულს. დნეპრის გადალახვისა და მარჯვ. ნაპირზე პლაცდარმის დაკავებისას გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა საბჭ. კავშირის გმირის წოდება.

დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, სხვა ორდენებითა და მედლებით.

ტ. ჩიჩილაკაშვილი